



საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის
მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის
წლიური ანგარიში
2017 წ.



სარჩევი

1. შესავალი	3
2. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება	3
3. საქართველოს ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმის განხორციელება	6
4. საბჭოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში	13

1. შესავალი

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო (შემდგომში: საბჭო), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #9/3 ბრძანებით, 2017 წლის 16 იანვარს შეიქმნა და იგი ინტერფრაქციულ პრინციპს ემყარება. საბჭო შედგება 11 წევრისგან, რომელთაგან, პარლამენტის თავმჯდომარის გარდა, 6 უმრავლესობას, 2 უმცირესობას, ხოლო 2 უმცირესობის გარეთ მყოფ ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენს. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიზანია საპარლამენტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების მონიტორინგი. საბჭოს თავმჯდომარეობა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით დაევალა პარლამენტის წევრს ირინა ფრუიძეს.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში საბჭოს მხარს უჭერს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თავმჯდომარეობით, აერთიანებს 15 როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას.

2. საქართველოს ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება

2017 წლის დასაწყისში, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად შეიმუშავა ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმა, რომელიც თავდაპირველად 2017-2018 წლებში განსახორციელებელ საქმიანობას მოიცავდა, თუმცა ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს რეკომენდაციით, მოგვიანებით სამოქმედო გეგმა ორად გაიყო და 2017 წლის გეგმა ცალკე დამტკიცდა. ეს ცვლილება ემსახურებოდა ახალი პრაქტიკის დამკვიდრებას, რომლის თანახმად ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა ეროვნული სამოქმედო გეგმის ნაწილი უნდა გახდეს და დამოუკიდებელ მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს.

სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით, ღია პარლამენტის საბჭომ, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად 2017 წელს 4 გაფართოებული სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. შედეგად, 2017 წლის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსია ცვლილებების გარეშე დამტკიცდა 2017 წლის 18 სექტემბერის ბიუროს სხდომაზე. ასევე შეხვედრის მონაწილეების გადაწყვეტილებით, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს დაემატა სახალხო დამცველის აპარატი.



2017 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 24 ვალდებულებას და ემყარება ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) ძირითად პრინციპებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება, პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა, ტექნოლოგიები და ინოვაცია.

სამოქმედო გეგმა შედგება შემდეგი ვალდებულებებისგან:

1. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

1.1 პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა

1.2 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

1.3 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

1.4 კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება

1.5 სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის

1.6 ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

1.7 პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურებს გამარტივება

1.8 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება

2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2.1 პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება

2.2 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე

2.3 მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე

2.4 საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო ოქმის მომზადება და გამოქვეყნება

2.5 პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთი ან ორ წლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში

3. პარლამენტის ანგარიშვალდებულება

3.1 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია

3.2 პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება

3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება

4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა

4.1 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა

4.2 საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება

4.3 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

4.4 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

4.5 კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა

4.6 მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის

ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი

5. ტექნოლოგიები და ინოვაცია

5.1 საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)

5.2 პარლამენტის ვებ-გვერდის რესტრუქტურისა

სამოქმედო გეგმის 24 ვალდებულებიდან 5 ინიციატივის ავტორია საქართველოს პარლამენტი, ხოლო 19 ეკუთვნის „საქართველოს ღია პარლამენტის საკონსულტაციო ჯგუფის“ წევრ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. თითოეული ვალდებულება შემუშავდა ერთობლივი სამუშაო პროცესის შედეგად.

საქართველოს ღია პარლამენტის საკონსულტაციო ჯგუფის წევრები, რომელთა ინიციატივებიც ასახულია 2017 წლის სამოქმედო გეგმაში, არიან: ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) – (GGI), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ჯამპსტარტ ჯორჯია.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა ევროკავშირის პროექტის „საპარლამენტო დემოკრატიის გაძლიერება საქართველოში“, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ხელშეწყობით.



3. საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელება

სამოქმედო გეგმის ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი:

1. კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება; კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა;
 - სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
2. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება;
 - სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
3. ეთიკის კოდექსის შემუშავება;
 - სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 5 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება;
 - სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
5. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდის რესტრუქტურირება;
 - სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 3 გაფართოებული სამუშაო შეხვედრა, მათ შორის ერთი, 2 დღიანი გასვლითი ვორკშოპი და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.



2017 წლის სამოქმედო გეგმის 1.2. ვალდებულება - საბჭოს ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიამ გაითვალისწინა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) რეკომენდაციები და საყოველთაო-სახალხო განხილვები ჩაატარა განახლებული წესებით.

	შემუშავება			
2	1.2 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა			ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ტექსტის დახვეწა	ოქტომბერი 2017	ტექსტი მომზადებულია და შეტანილია რეგლამენტის ცვლილებების პროექტში	შესრულებული
	* რეგლამენტის ცვლილების ტექსტის მიღება	დეკემბერი 2017	რეგლამენტის ცვლილებების პროექტის ინიცირება გაკეთდა	ნაწილობრივ შესრულებული
3	1.3 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით			ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის რეგლამენტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავება	დეკემბერი 2017	პროექტი შემუშავებულია	შესრულებული
	* პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების მიღება	დეკემბერი 2017	რეგლამენტის ცვლილებების პროექტი ინიცირებულია	ნაწილობრივ შესრულებული
4	1.4 კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება			ნაწილობრივ შესრულებული
	* კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება	დეკემბერი 2017	პროექტი შემუშავებული და ინიცირებულია	შესრულებული
	* უკუკავშირის მექანიზმის სახეებისა და ფორმების შემუშავება და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცება	დეკემბერი 2017	პროექტი შემუშავებული და ინიცირებულია	ნაწილობრივ შესრულებული
5	1.5 სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის			ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების პროექტის შემუშავება	აგვისტო 2017	პროექტი მომზადებულია	შესრულებული
	* შშმ პირთათვის მომსახურების (განცხადების შეტანა, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.) მიწოდების და შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ კონცეფციის შემუშავება შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობით და უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით	ოქტომბერი 2017	მიმდინარეობს კონცეფციის შემუშავება	ნაწილობრივ შესრულებული
	* შესაბამისი ნორმატიული აქტების და ინფრასტრუქტურის (ტექნოლოგიური) მომზადება	დეკემბერი 2017	ინფრასტრუქტურა ტექნოლოგიურად მომზადებულია	ნაწილობრივ შესრულებული
6	1.6 ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება			ნაწილობრივ შესრულებული

	* შეხვედრების ორგანიზება პარლამენტის წევრებისთვის, რომლის ფარგლებშიც მოხდება საპარლამენტო OGP-სა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების, შესახებ ცნობიერების ამაღლება.	დეკემბერი 2017	შედგა ერთი შეხვედრა პარლამენტის წევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, სადაც განხილული იყო ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა	ნაწილობრივ შესრულებული
7	1.7 პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურებს გამარტივება			შესრულებული
	* პარლამენტის შენობაში შესვლის წესების შესახებ მოკლე ინფორმაციის მარტივი სახით, თვალსაჩინო განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე	სექტემბერი 2017	პარლამენტში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ბანერის სახით პარლამენტის ვებ-გვერდზე თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული.	შესრულებული
8	1.8 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება			შესრულებული
	* „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ დახვეწა	დეკემბერი 2017	ტექსტი მომზადებულია	შესრულებული
2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა				
9	2.1 პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება			შესრულებული
	* პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილებების შეტანა	სექტემბერი 2017	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში შეტანილია ცვლილებები	შესრულებული
	* სტატისტიკურად დასამუშავებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა	სექტემბერი 2017	ნუსხა განისაზღვრა საკონსულტაციო ჯგუფის და ღია პარლამენტის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ	შესრულებული
	* ვალდებულებით განსაზღვრული ინფორმაციის პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება	პერმანენტული		////////
	* ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება	პერმანენტული		////////
10	2.2 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე			შესრულებული
	* კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვის კონცეფციის შემუშავება	აგვისტო 2017	კონცეფცია შემუშავებულია	შესრულებული
	* კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება	პერმანენტული	დაწყებულია კანონპროექტების ცვლილებების ხილვად ფორმატში ატვირთვა ვებ-გვერდზე	შესრულებული
11	2.3 მაჟორიტარი დეპუტატების			შესრულებული

	საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე			
	* მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებელი სივრცის შექმნა	სექტემბერი 2017	სივრცე შეიქმნა	შესრულებული
	* ვებგვერდზე მოცემულ მაჟორიტარ დეპუტატთა ინდივიდუალურ გვერდებზე მაჟორიტარული ბიუროს მისამართის, მიღების საათებისა და საკონტაქტო პირის მითითება	სექტემბერი 2017	მაჟორიტარის ინდივიდუალურ გვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია, გარდა ამისა დაემატა მაჟორიტარი დეპუტატების Facebook გვერდების მისამართები.	შესრულებული
12	2.4 საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო ოქმის მომზადება და გამოქვეყნება			შესრულებული
	* ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი განხილვის ვიდეო-ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე	პერმანენტული	ვალდებულების შესახებ ცვლილება შეტანილია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში	შესრულებული
	* ასარჩევი პირების მოსმენის თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო-ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე	პერმანენტული	ვალდებულების შესახებ ცვლილება შეტანილია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში	შესრულებული
13	2.5 პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთი ან ორ წლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში			შესრულებული
	* კომიტეტების სამოქმედო გეგმის ფორმატისა და შინაარსის განსაზღვრა	ოქტომბერი 2017	კომიტეტის სამოქმედო გეგმის ფორმატი და შინაარსი განისაზღვრა	შესრულებული
	* ცვლილება კომიტეტების დებულებაში ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების შესახებ	ოქტომბერი 2017	კომიტეტების უმეტესობამ ცვლილება შესაბამისად შესაბამისად	შესრულებული
3. პარლამენტის ანგარიშვალდებულება				
14	3.1 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია			ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	დეკემბერი 2017	რეგლამენტის ცვლილებების პროექტი ინიცირებულია	ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრა	პერმანენტული	2017 წლის შეხვედრა დაგეგმვის პროცესშია	ნაწილობრივ შესრულებული
15	3.2 პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება			ნაწილობრივ შესრულებული
	* ანგარიშის შინაარსის ძირითადი საკითხების განსაზღვრა	ოქტომბერი 2017	ანგარიშის შინაარსის საკითხები განისაზღვრა	შესრულებული

	* პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	დეკემბერი 2017	ანგარიშის მომზადების შესახებ ინფორმაცია განისაზღვრა და დამტკიცდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში	ნაწილობრივ შესრულებული
	* შესაბამისი ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების და ერთიანი ანგარიშის ფორმის შემუშავება	ოქტომბერი 2017	ანგარიშის ერთიანი სტანდარტის ფორმატი შემუშავების პროცესშია	ნაწილობრივ შესრულებული
16	3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება			ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის თვითშეფასების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი	ნოემბერი 2017	მიმდინარეობს მოლაპარაკება IPU-სთან	ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება	დეკემბერი 2017	შემუშავების პროცესშია	ნაწილობრივ შესრულებული
4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა				
17	4.1 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა			შესრულებული
	* საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა და დამტკიცება;	ნოემბერი 2017	ინფორმაცია განისაზღვრა და დამტკიცდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ნუსხაში	შესრულებული
	* საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება;	პერმანენტული		შესრულებული
18	4.2 საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება			შესრულებული
	* 10 დეკემბრის კონსოლიდირებული ანგარიშის კომიტეტის სხდომებზე განხილვის პროცედურის შესახებ პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება.	დეკემბერი 2017	პროექტი მომზადებულია	შესრულებული
19	4.3 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება			ნაწილობრივ შესრულებული
	* აღსრულების მექანიზმების და სანქციების შემუშავება	ივნისი 2017	ეთიკის კოდექსის პროექტი, აღსრულების მექანიზმებითა და სანქციებით მომზადებულია	შესრულებული
	* კოდექსის ინიცირება და მიღება	ნოემბერი 2017	კოდექსი ინიცირებულია	ნაწილობრივ შესრულებული
20	4.4 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება			შესრულებული
	* განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გასაუმჯობესებლად შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება	დეკემბერი 2017	განმარტებითი ბარათის შინაარსი მომზადდა	შესრულებული
21	4.5 კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა			შესრულებული

	* რეგლამენტში შესატანი ცვლილების პროექტის მომზადება	დეკემბერი 2017	პროექტი მომზადებულია	შესრულებული
22	4.6 მთავრობის მიერ ღია მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი			ნაწილობრივ შესრულებული
	* ზედამხედველობის მეთოდოლოგიის შემუშავება	დეკემბერი 2017	მიმდინარეობს მუშაობა მეთოდოლოგიის შემუშავებაზე	ნაწილობრივ შესრულებული
	* პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	დეკემბერი 2017	რეგლამენტის პროექტში ცვლილება ინიცირებულია. ასევე აღნიშნული ცვლილება შესულია საბჭოს დებულებაში.	ნაწილობრივ შესრულებული
5. ტექნოლოგიები და ინოვაცია				
23	5.1. საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)			შესრულებული
	* საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა	აგვისტო 2017	მოდული შეიქმნა	შესრულებული
	* დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნება, მათ შორის ღია ფორმატში (Open Data)	პერმანენტული		////
24	5.2. პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურისა			შესრულებული
	* ვებგვერდის განახლებული სტრუქტურის შემუშავება	დეკემბერი 2017	სტრუქტურა შემუშავდა	შესრულებული

4. საბჭოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში

2017 წლის 4 აპრილს საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები ღია მმართველობის პარტნიორობის დირექტორის მოადგილეს, ჯო პოუელს და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინატორს, პოლ მასენს შეხვდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო ღია და გამჭვირვალე პარტნიორობის აქტიური მონაწილეა და იგი რეგიონში ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას წარმოადგენს. შეხვედრაზე უცხოელი სტუმრები საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს და სამომავლო გეგმებს გაეცნენ.

2017 წლის 21 აპრილს ღია პარლამენტის საბჭოს თავმჯდომარე ირინა ფრუიძე საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის სტუდენტებსა და ლექტორებს შეხვდა. მან ქვეყნის მიერ ანტიკორუფციული პოლიტიკის მიღწევებზე ისაუბრა და ამ მიმართულებით საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაწეულ სამუშაოზე გაამახვილა ყურადღება.

2017 წლის 19-20 მაისს, უკრაინაში, გაიმართა გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენცია, რომელშიც საქართველოს პარლამენტიდან ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ირინა ფრუიძე,

საბჭოს წევრები: გიორგი კახიანი, კახა კუჭავა, ოთარ კახიძე და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ნიკოლოზ ნათენაძე მონაწილეობდნენ. გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენციას უკრაინის უმაღლესი რადა მასპინძლობდა.



კონფერენციაზე განხილულ იქნა პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა, მოქალაქეთა ნდობა, ეთიკის კოდექსი, პარლამენტის და ღია მმართველობის პარტნიორობა, ტექნოლოგიები, სიახლეები და ინიციატივები. კონფერენციის ერთ-ერთ სესიაზე საბჭოს თავმჯდომარემ **ირინა ფრუიძემ** გააკეთა მოხსენება საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმასა და საქართველოს მიერ OGP-ს თავმჯდომარეობის პერიოდისთვის (2017-2018) განსაზღვრულ პრიორიტეტებზე.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებმა კიევში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ შეხვედრებშიც მიიღეს მონაწილეობა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ერთი სესია საქართველოს პარლამენტს დაეთმო. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ **ირინა ფრუიძემ** საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის პარტნიორობაში აქტიური ჩართულობისა და 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, „რეგიონული მრგვალი მაგიდა - პარლამენტი და მდგრადი განვითარების მიზნები“ კახაბერ კუჭავამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მმართველობით მდგრადი



განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ისაუბრა.

2017 წლის მაისში ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) აღმასრულებელი დირექტორი **გიორგი კლდიაშვილი** ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრად აირჩიეს.

2017 წლის 12 ივნისს საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები NDI-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, **მადლენ ოლბრაიტს** და დირექტორთა საბჭოს წევრებს შეხვდნენ. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ფრუიძემ მათ საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა გააცნო.

2017 წლის 5 ივლისს, მინსკში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედმა დელეგაციამ გამართა კონფერენცია სახელწოდებით: „საქართველოს პარლამენტის როლი OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში“.

დელეგაციის ხელმძღვანელმა, **სოფიო ქაცარავამ** საპარლამენტო ასამბლეის დელეგატებს და სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელებს, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები გააცნო და განსაკუთრებული ყურადღება პარლამენტის როლსა და მის ჩართულობაზე გაამახვილა.

ლონისძიებაზე საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გააკეთა **თავმჯდომარემ ირინა ფრუიძემ**. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, დელეგაციის წარმომადგენლებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და განიხილეს მათი ქვეყნების მომავალი გეგმები, რომელთა მიზანია ღია მმართველობის



განვითარების ხელშეწყობა მთელს მსოფლიოში.

2017 წლის 19 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ რიგით 72 -ე სხდომაზე, საქართველოს პრემიერ მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** საფრანგეთის პრეზიდენტის **ემანუელ მაკრონისგან** ღია მმართველობა პარტნიორობის თავმჯდომარეობა გადმოიბარა და ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივას, რომელიც 75 ქვეყანას აერთიანებს, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე (1 წლის ვადით) უხელმძღვანელებს. საქართველო „ღია მმართველობა პარტნიორობის“-ის რიგით მე-6 თავმჯდომარე ქვეყანაა. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**, რომელიც ღია მმართველობა პარტნიორობის მმართველ კომიტეტში საქართველოს წარმომადგენს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცეპრემიერი **მიხეილ ჯანელიძე**.

17-23 ნოემბერს ღია მმართველობის გლობალური კვირეულის ფარგლებში ორგანიზებულ ღია მმართველობის პარტნიორობის ამერიკის რეგიონულ შეხვედრას, რომელიც ჩატარდა

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე ირინა ფრუიდე დაესწრო.



კვირეულის ფარგლებში, ირინა ფრუიდე გააკეთა მოხსენება საქართველოში საკანონმდებლო ღიაობის მიღწევებისა და ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის შესახებ. კონფერენციის პარალელურად ირინა ფრუიდე ასევე შეხვდა ჩილეს და არგენტინის სენატების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარეებს, წარმომადგენელთა პალატის წევრებს და პარაგვაის სენატორს. შეხვედრებზე ღია მმართველობის საკითხების გარდა, განიხილეს პარლამენტებს შორის თანამშრომლობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება.

2017 წლის 28 ნოემბერს, ღია მმართველობის გლობალური კვირეულის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა ღონისძიებას სახელწოდებით: „ხელმისაწვდომი პარლამენტი ყველასათვის“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციების წარმომადგენლებმა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

შეხვედრა გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. მან ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის პარლამენტის

შენობის ხელმისაწვდომობა, რათა მოქალაქეებმა ისარგებლონ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტი სრულად ხელმისაწვდომი გახდება მობილობისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის.



თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციით დამკვიდრებული ახალი ნორმის თანახმად, სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ვალდებულებას, შექმნას პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სპეციალური საჭიროების მქონე თითოეული ადამიანის სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შეხვედრის მონაწილეებს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ **ირინა ფრუიძემ** წარუდგინა ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა და გააცნო საბჭოს მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **რატი იონათამიშვილმა**, არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანის“ წარმომადგენელ მარიამ მიქიაშვილთან ერთად წარადგინა საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობის ადაპტირების გეგმა, რომლის მიზანია პარლამენტის ტერიტორიაზე მობილობისა და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების გადაადგილება დაბრკოლების გარეშე.

პარლამენტის თბილისის შენობის ადაპტირების გეგმა შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანი“-ს დახმარებით. ინიციატივის

მხარდამჭერები არიან ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კვირეულის ფარგლებში გამართული ღონისძიება დისკუსიით და საზემო მიღებით დასრულდა.



2017 წლის 18-19 დეკემბერს, თბილისში ღია პარლამენტის საბჭოს სამუშაო ჯგუფის ინიციატივით და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით (IDFI) ორდღიანი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრის მიზანი იყო კანონშემოქმედებითი პროცესის გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მეტი ჩართულობის საკითხების განხილვა.

სამუშაო შეხვედრა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის **ეკა ბესელიას** მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ასევე ODIHR-ის ასოცირებულმა ოფიცერმა სამართლებრივ საკითხებში იური მარჩენკომ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საჯარო ადმინისტრირების რეფორმების პროგრამის მენეჯერმა სოფი ჰუეტ-გერიშმა და UNDP-ს დემოკრატიული მმართველობის ჯგუფის ხელმძღვანელმა გიგი ბრეგაძემ.

ღონისძიების განმავლობაში, მოწვეული ექსპერტების (მელანი სალი - ავსტრია, სანდრა პერნარი - ხორვატია, ლია ჰანი - ესტონეთი) ხელმძღვანელობით, გაიმართა დისკუსია პოლიტიკის შემუშავებასა და კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ძირითად ფორმებზე.

